სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2753959
info@forestry.gov.ge

31 ოქტომბერი 2024

GOV N 11/6811

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 22 ოქტომბრის N21/10865 წერილი, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბაანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.17.54.000.205) დასასვენებელი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციას და სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდებას.
გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მთლიანი **101 128 კვ.მ. ფართობიდან** (shp ფაილები), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **18 კვ.მ. წარმოადგენს** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, საგარეჯოს სატყეო უბნის უჯარმის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს.
ასევე გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

დანართი: ელ.ვერსია.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/6811-11-2-202410311156

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE